**კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**
**მისამართი - მ.ალექსიძის 1/3**
**ტელეფონი - 032 2 47 42 42**

**19 აპრილი , თბილისი** - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია ატარებს კათოლიკოს-პატრიარქის კალიტრატე ცინცაძის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციას *„კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე - 150“* .

კონფერენცია გაიმართება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ახალ შენობაში (გ.ლეონიძის ქ. №3). ღონისძიებას გახსნის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ღონისძიებაზე მოხსენებებს წაიკითხავენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები და ასევე სხვა მეცნიერები. სტუმრები მოსიმენენ ძალიან საინტერესო და ბევრისათვის აქამდე უცნობ დეტალებს კათოლიკოს-პარტიარქის ცხოვრებიდან.

კონფერენციის ფარგლებში გაიხსნება გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის საარქივო მასალა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არის დაცული. პატრიარქის  პირადი მიმოწერა, ფოტოარქივი, მოგონებები და გამოკვლევები.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

**საკონტაქტო პირი:**
**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;**
**მარიამ ჯაბიძე**
mariamjabidze@gmail.com **577 977 199**
**თამარ გურგენიძე**
friends@manuscript.ac.ge **599 899 628**